# ნიღბების სტრატეგიული მენეჯმენტის და გამოყენების პროტოკოლი

(ევროპის რეგიონის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლების ასოციაცია (ASPHER)

2020 წლის აპრილი



## არაფარმაცევტული ღონისძიებები

ეპიდემიის დროს ვირუსის გადაცემის პრევენციის მიზნით ნიღბების გამოყენება პანაცეა არ არის. მას მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ სხვა არაფარმაცევტულ ღონისძიებებთან ერთობლიობაში (პირადი ჰიგიენა, ფიზიკური დისტანცირება და ა.შ.).

## ნიღბებით დაცვა



ნიღბების გამოყენებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს მის ფიზიკურ თვისებებზე.პროფესიული დანიშნულების ნიღბები განკუთვნილია ჯანდაცვის სფეროს მუშაკთათვის და იმ სხვა ჯგუფებისათვის, ვისაც ესაჭიროებათ ასეთი ნიღბები, ხოლო სოციალური ნიღბები გამოიყენება მოსახლეობისათვის. ნიღბების გამოყენებით ადამიანი საკუთარი თავის დაცვით იცავს სხვებსაც.

## სოციალური ნიღბები



სოციალური ნიღაბი მზადდება ქსოვილისგან, იწარმოება მსუბუქ მრეწველობაში ან მზადდება სახლის პირობებში, დადგენილი წესების შესაბამისად. ამ ნიღბებს აქვთ ორი ფუნქცია:

1 - ასიმპტომურ ფაზაში შეამციროს ინფექციის გადაცემის შესაძლებლობა ან შეასუსტოს ინფექციის გადაცემის ჯაჭვი;

2 – პროფესიული ნიღბებისა და სხვა პირადი დაცვის საშუალებების მარაგის შექმნა იმ ჯგუფებისთვის, რომლებსაც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ ასეთი პირადი დაცვის საშუალებები.



## საჯარო ტრენინგის პროგრამა

ნიღბების ფართო გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია მოსახლეობის ჩართვა ტრენინგ პროგრამებში. მოსახლეობას უნდა მიეწოდოს მკაფიო ინსტრუქციები ნიღბების ტექნიკური მოთხოვნების შესახებ (წარმოება, გამოყენება და განკარგვა). ტრენინგები უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი.



## სოციალურ-კულტურული ასპექტები და ნიღბები

ნიღბების ფართო გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას თითოეული ქვეყნისა და კულტურის სოციალურ-კულტურული ასპექტები (მაგალითად, რელიგია, ადამიანის უფლება და ა.შ.).

## ეროვნული უსაფრთხოება



პირადი დაცვის საშუალებები პოტენციური გეოპოლიტიკური ინტერესის და ეროვნული უსაფრთხოების ელემენტი გახდა. მნიშვნელოვანია, ქვეყნებმა გააძლიერონ მათი შესაძლებლობები (წარმოება, წარმოების გაფართოება, შენახვა და დისტრიბუცია და ა.შ.) რათა ქვეყანაში უზრუნველყოფილ იყოს ამ საშუალებების, მათ შორის ნიღბების საჭირო რაოდენობა.

## ნიღბებზე წვდომის იერარქია

უმაღლესი ეფექტიანობის ნიღბებზე წვდომის უპირატესობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანის და მისი კონტაქტების დაინფიცირების რისკის ხარისხი




## პროტოკოლის გამოყენება ეპიდემიის მრუდის განმავლობაში

ნიღბების საჭიროება და ფუნქცია განსხვავდება ეპიდემიის სხვადასხვა ფაზაზე

